საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 50 17/10/2019

.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორის სკოლა-პანსიონში,შენობა-ნაგებობა N2-ის პირველ სართულზე მდებარე 227 კვ.მ, ფართის (ს.კ 36.10.31.013.02.500) სარგებლობის უფლებით , უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადასაცემად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ **მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორის სკოლა-პანსიონში,შენობა-ნაგებობა N2-ის პირველ სართულზე მდებარე 227 კვ.მ, ფართის (ს.კ 36.10.31.013.02.500) სარგებლობის უფლებით,** უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადასაცემად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე